

ქვეყნურად მოიქცნენ ამ საქმეში. ერთ-ერთი თვით პსიხიკის არსებობა, მაგრამ მხოლოდ მანამ, სანამ იგი გარეშე საგნებს დაუხმავდებოდეს და მათ ასე თუ ისე შეუთავსირდეს. პოტენციალური პსიხიკა წმინდა სუბიექტური მდგომარეობაა აქტუალური პსიხიკა კი ობიექტური ხდება, რაკი იგი გარეშე საგნებს, ობიექტებს თავის მოქმედების მიზნად აქცევს. ამისდა მიხედვით გარჩევა სუბიექტური ელემენტებისა პსიხიკის ცხოვრებისა, მაშინ როდესაც გარჩევა და აზრი ობიექტური ელემენტს ატარებენ. ეს დამოუკიდებელი უტყუარ ქეშმარიტებას წარმოადგენს თანამედროვე პსიხოლოგიისათვის. ჩვენ იგი მხოლოდ ფილოსოფიურად გავალრმავით და დავსაბუთებთ.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ: 1) გარანტორი თავისებურ, საკუთარი ნივთიერად არიან დამყარებული და 2) მათი სინამდვილე ამიტომ არაპოკრიფულაა, არა ფანტასტიკურად, არამედ უდავო და აშკარად უნდა იქმნას მიჩნეული. ჩვენ ვხედავთ აგრეთვე, რომ 3) იგინი სუბიექტური ელემენტს წარმოადგენს ჩვენს პსიხიკაში. ამისდა მიხედვით აშკარაა, რომ ყველა მისწრაფებანი და მოთხოვნილებანი, რომელიც ადამიანის გარჩევა უდევს საფუძვლათ, უშუალოდ თავისუბური დამოუკიდებელი სინამდვილის მატარებელი უნდა იყვნენ. ჩვენი მიზნისათვის ზედ-მეტია იმის დამტკიცება, რომ ასეთი მისწრაფებანი და მოთხოვნილებანი ფრად მნიშვნელოვან ცოცხელ წარმოადგენენ ადამიანის ცხოვრებაში. ან კი ვისთვის არის საჭირო ამის დამტკიცება? ჩვენთვის საკმაო უბრალო ფაქტის აღნიშვნა, რომ **ხელოვნება** ყველაზედ უწინარეს ასეთ მისწრაფებას აკმაყოფილებს.

• ಪದ್ಮನಾಭಪುರಾಣ • ೨೫೪